2024 წლის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიში

შპს ,,პეპელა +“

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა
3. განუსაზღვრელობის შეფასებისათვის გამოყენებული ძირითადი წყაროები
4. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობა შპს „პეპელა+" ს/ნ 202454058			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2074816	1478203	1715057
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	560408	626299	610372
სხვა პირებზე აღებულად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრ	376046	14567	98007
მარაგები	4006313	4613288	4805118
შუა პრიოდექტი	0	0	0
სხვა	4006313	4613288	4805118
საანგარიშო ქონება	0	0	0
სხვა მოგლეკადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
ინვესტიციებიუძრავ ქონებაში მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გაუფასებელი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	1209044	1340568	1471800
ინვესტიციები შეკავშირებულ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	8226627	8072925	8700349
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულება	0	0	0
საგაჭრო ვალდებულებები	0	357401	424861
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5600	37012	64298
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოქვითვებიდან შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	64300	55191	0
სულ ვალდებულებები	69900	444604	489159
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის	200	200	200
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვებული 'ზარალი)	8156527	7628121	8210990
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	8156727	7628321	8211190
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8226627	8072925	8700349
სულ მოკლევადიანი აქტივები	4006313	4613288	4805118
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	8156727	7628321	8211190

გამოსაყენებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია შპს „პეპელა+" ის სახელით 2025 წლის 26 სექტემბერს

შპს „პეპელა+" ის დირექტორი /რუსუდან ცოცანძე/

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობა შპს ,,პეპელა+"ს/ნ 202454058			
ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2024**	**31/12/2023**	**31/12/2022**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2074816	1478203	1715052
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	560408	626299	610372
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	376046	14567	98007
მარაგები	4006313	4613288	4805118
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	4006313	4613288	4805118
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	1209044	1340568	1471800
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	8226627	8072925	8700349
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	352401	424861
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5600	37012	64298
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	64300	55191	0
სულ ვალდებულებები	69900	444604	489159
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200	200
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	8156527	7628121	8210990
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	8156727	7628321	8211190
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8226627	8072925	8700349
სულ მოკლევადიანი აქტივები	4006313	4613288	4805118

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	8156727	7628321	8211190
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2024**	**31/12/2023**
ნეტო ამონაგები	6646301	6839299
საქონლის გაყიდვიდან	6452219	6725638
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	194082	113661
გაყიდვების თვითღირებულება	-4993702	-5067620
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1652599	1771679
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-630903	-585023
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-136950	-139232
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-272080	-287083
სულ საოპერაციო ხარჯები	-1039933	-1011338
საოპერაციო მოგება	612666	760341
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	612666	760341
მოგების გადასახადის ხარჯი	0	-201484
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	612666	558857
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	612666	558857
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	7628321	8211190

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-84260	-1141726
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	8156727	7628321

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2024**	**31/12/2023**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	596613	-236849
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	596613	-236849
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1478203	1715052
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2074816	1478203

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ,,პეპელა +“ ს/ნ 202454058 (შემდგომში საზოგადოება) დაფუძნებულია ,,მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2008 წლის 30 ოქტომბერს;

საზოგადოების დამფუძნებელი:

1. სებაჰათთან ჩელიქ, საქართველო, თურქეთი პ/ნ 01005028415 - 100%;

საზოგადოების დირექტორია რუსუდან დიდიძე პ/ნ 62004026184.

საზოგადოების იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, აკაკი წერეთელის გამზირი, 149 მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დიღმის ხიდიდან ქსნის ქუჩისკენ ჩასასვლელ გზასთან.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი 200 ლარი.

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო საბითუმო ვაჭრობა, სამშენებლო მასალებით.

საზოგადოება წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (შემდგომში ,,მსს ფასს“), რაც ასახავს საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე. საზოგადოება 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, მსს ფასს-ის გამოყენებით წარადგენს 2025 წლის 01 ოქტომბრისათვის.
საზოგადოება ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ მისი ფინანსური ანგარიშგების და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი.
ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას, იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტისგან მსჯელობას საზოგადოების საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები, დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას, კომპლექსურ მიდგომებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

წარდგენის ვალუტა

საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი, უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას, ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

სატრანსპორტო საშუალებები	5-15 წელი;
კომპიუტერები და სხვა საოფისე ტექნიკა	5-10 წელი;
ავეჯი	10-15 წელი;
სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფას და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივების ამორტიზირება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებადი ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

არამატერიალური აქტივები	3-10 წელი.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუფრდდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საზოგადოების ფულად ერთეულში (ლარი), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი საზოგადოებას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულებების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და სკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით, გაყიდვები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, საზოგადოება მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. ,,ესტონური მოდელით", დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება. ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს იბეგრება მოგების გადასახადით.
საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს, საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

დაქირავებულ პირთა გასამჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, პრემიები და არა ფულადი სარგებლები საზოგადოების მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც საზოგადოების თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული, ხოლო ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებების, ბიულეტენების შემთხვევაში როდესაც საზოგადოების თანამშრომელი ისარგებლებს ამ უფლებით.
არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, საზოგადოების მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არარსებითობის გამო).

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდგომ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, ექვემდებარება დამტკიცებას საზოგადოების იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება მენეჯმენტის მსჯელობის საგანს წარმოადგენს, შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინების შედეგად აქტივების გამოყენების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, მის ტექნიკურ მახასიათებლებს, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება.
ზემოაღნიშნული პირობების ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება გამოიწვიოს.

გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს შეტანილი იქნა ცვლილებები სსკ-ში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 01 იანვრიდან და შეეხო საზოგადოების მოგების გადასახადის აღიარებისა და განსაზღვრის პრინციპებს (კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვეო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და ლომბარდის გარდა). ეს ცვლილებები შეეხო საზოგადოების მიერ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს. საზოგადოებებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 01 იანვრიდან)

მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების ან სხვა ფორმით. დივიდენდების გადახდის შემთხვევაში გამოიყენება 15%-იანი მოგების გადასახადის ე.წ. „აგროსილი“ თანხიდან (ჯერ უნდა მოხდეს გასაცემი დივიდენდის ნეტო თანხის დაგროსვა 5%-ით საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით და შემდგომ 0.85 გაყოფით მიიღება მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა), რომელიც გადახდილი უნდა იქნეს დივიდენდის ფიზიკურ პირზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირზე გაცემის მომენტში, იმისდა მიუხედავად ეს განაცემი ფულადი თუ არაფულადი სახით არის შესრულებული.
აღნიშნული საგადასახადო ცვლილებით, რეზიდენტ საწარმოს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული აკუმულირებული „წმინდა მოგებიდან“ დივიდენდის განაწილებისას, უფლება აქვს ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული (დეკლარირებული) და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს დივიდენდის განაწილებაზე გათვალისწინებული მოგების გადასახადის თანხისა.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, როდესაც ხდება დივიდენდების გაცემა (მიუხედავად იმისა, თუ რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემა ხდება). საზოგადოება აღარ აღიარებს მოგების გადასახადთან დაკავშირებულ გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შემდგომ. კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, საზოგადოებას არ აქვს აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2017 წელს მიღებული მოგებიდან მოგების გადასახადის ვალდებულება.
აღნიშნული საგადასახადო ცვლილების მიხედვით, დივიდენდების განაწილებასთან ერთად, მოგების გადასახადით ასევე იბეგრება (მოგების განაწილებად ითვლება) ისეთი ხარჯების გაწევა, რაც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული (ხარჯი რომელიც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულად; მომსახურების ან აქტივების უსასყიდლო მიწოდება; წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობას). ასევე შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის მქონე ქვეყანაში დარეგისტრირებული პირებისათვის გაცემული ავანსები, ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტებზე გაცემული სესხები დაუყოვნებლივ ექვემდებარება დაბეგვრას. თუმცა აღნიშნული სესხის დაბრუნების ან ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღების (ან ავანსის დაბრუნების) შემდეგ, საზოგადოებას შესაბამისი დეკლარირების გზით შეუძლია ოპერაციებზე გადახდილი (დეკლარირებული) მოგების გადასახადის ჩათვლა. ისეთი გადასახადები სხვა გადასახადების მსგავსად, რომლებიც უკან დაბრუნებას (ჩათვლას) აღარ ექვემდებარება, საზოგადოების მიერ აისახება „სხვა საოპრეციო ხარჯებში“ და არ მიეკუთვნება საანგარიშო მუხლს - „მოგების გადასახადი“.

4.საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.